„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №-23-24 (9495-96) • 1-31 დეკემბერი • ფასი 1 ლარი

მშვიდობა შენს ჭერ-ყავარს, წელო ახალო!

2021 წინსვლის და განვითარების წელი იქნება

ჩვენს ძვირფას სენაკელებს, საქართველოს ფარგლებში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, გულითადად ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს.

განვლილი წელი, მსოფლიო მასშტაბით, დიდი გამოწვევების წელი იყო.

ახალი კორონავირუსის პანდემიით შექმნილი რეალობის შესაბამისად, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პარალელურად, ჩვენი საქმიანობა ეკონომიკური გაჯანსაღების, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანი ყველა სეგმენტის წინსვლისკენ იყო მიმართული.

ჩვენ, მაქსიმალური ძალისხმევით შევძელით ჩვენს წინაშე მდგარ ურთულეს გამოწვევებთან გამკლავება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების წამოწყება, განხორციელება და სამომავლოდ დაგეგმვა.

მჯერა, რომ 2021 წელი პანდემიით გამოწვეული ყველა სირთულის ერთობლივად დაძლევის, ახალი პროექტების განხორციელების, ჩვენი ქვეყნის წინსვლის და განვითარების წელი იქნება.

შობა-ახალი წელი განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მოვულოცო სამედიცინო სექტორის წარმომადგენლებს და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ბრძოლის პირველ ხაზზე დგანან და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, მაღალი პროფესიონალიზმით, ყველაფერს აკეთებენ საზოგადოების და ქვეყნის დასაცავად.

ბედნიერების, სიხარულის, ერთობის, გამარჯვებებისა და წინსვლის წელიწადი შემოსულიყოს ჩვენი ქვეყნისა და თითოეული თქვენგანისთვის!

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

მშვიდობის, ბედნიერების იყოს 2021

ძვირფასო სენაკელებო, საქართველოს ყველა კუთხის შვილებო, დიდი სიყვარულით მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი.

2020 წელი ისტორიას მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ურთულესი გამოწვევებით დარჩება.

ახალი კორონავირუსის პანდემიამ ჩვენს წინაშე სრულიად ახალი რეალობა შექმნა და ჩვენ, ერთობლივი ძალისხმევით, ურთიერთთანადგომით, ქვეყნის ყოველმხრივი წინსვლის ტემპის მაქსიმალური გაძლიერების პარალელურად, ღირსეულად ვუმკლავდებით და დავამარცხებთ ამ ვირუსს.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისთვის, იმ არჩევანისთვის, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში, საქმის მკეთებელ გუნდზე და პირადად ჩემზე შეაჩერეთ. მე მზად ვარ, მთელი ჩემი გამოცდილებით და რესურსებით ვემსახურო თითოეულ თქვენგანს, ჩემს უთბილეს სენაკელებს და ჩემს ქვეყანას.

განსაკუთრებული მოწიწებით მინდა ასევე მოვეფერო ჩვენს მედპერსონალს და ყველა იმ ადამიანს, ვინც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, პანდემიის პირობებში შეუძლებელს აკეთებს და ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას.

ახალი წელი ახალი სასიკეთო პროექტების განხორციელების, ახალი გამარჯვებების წელი იქნება.

ბედნიერების, მშვიდობის, დაბრკოლებების წარმატებული დაძლევის, ჯანის სიმრთელის, ძეთა და ასულთა სიმრავლის, სიყვარულის, სიხარულის, ბარაქის, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და გაძლიერების წელი შემოსულიყოს!

ირაკლი ხახუბია,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი

ძვირფასო სენაკელებო!

გილოცავთ დამდეგ 2021 წელს!

გისურვებთ სიკეთეთით, სიყვარულითა და ბედნიერებით სავსე წელს.

ახალი წელი ყოფილიყოს ბევრი სასიკეთო ცვლილების მომტანი თქვენთვის,თქვენი ოჯახის თითოეული წევრისა და სრულიად საქართველოსთვის!

მინდა აღვნიშნო, რომ პანდემიის მიუხედავად, 2020 წელი სენაკის მუნიციპალიტეტისთვის ნამდვილად გამორჩეული იყო. განხორციელდა ბევრი პროექტი და საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივებს, რამაც ჩვენი ქალაქი უფრო მიმზიდველი გახადა. ერთიანი გუნდის მუშაობით, უკვე დაგეგმილია ის ღონისძიებები, რომლებიც სწორედ 2021 წელს უნდა განხორციელდეს. შედეგად ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო გალამაზდება და საინტერესო გახდება, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრებისთვის.

ძვირფასო სენაკელებო, კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წელი. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, მიზნების ასრულებას და მატერიალურ კეთილდღეობას.

კახაბერ რუსია,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

სულ ცოტა ხანში კიდევ ერთ საკმაოდ რთულ, მაგრამ სიახლეებით და განსხვავებული თვალთახედვით დანახული მოვლენებით აღსავსე 2020 წელს მიითვლის ჟამთასვლა. ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევების და სოციალურ-პოლიტიკური რყევების მიუხედავად ჩვენმა ქვეყანამ 2020 წელს შეინარჩუნა მშვიდობა და სტაბილურობა. მართალია, პანდემიამ საფრთხე შეუქმნა როგორც ადამიანების სიცოცხლეს, ისე დააზარალა მცირე და საშუალო ბიზნესი, მაგრამ არ შეჩერებულა ინფრასტრუქტურული პროექტები. რეგიონის, მათ შორის ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა სააქციო საზოგადოება ,,არქეოპოლისმა”. მათი ნახელავი მოწმობს, რომ ადამიანი ყველაზე რთულ ბრძოლაში აღწევს წარმატებას, თუკი შრომისმოყვარე და საქმის ერთგულია.

მინდა დამდეგი შობა-ახალი წელი უპირველესად მივულოცო სამედიცინო სექტორის ყველა წარმომადგენელს, გმირ ექიმებს, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის ფასად ინარჩუნებენ სხვების სიცოცხლეს, დგანან ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

შობა-ახალ წელს ვულოცავ პენსიონერებს, პედაგოგებს, დევნილებს, სოფლის მცხოვრებლებს, უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, სიხარულს, ოჯახების გაძლიერებას, მატერიალურ კეთილდღეობას, წარმატებულ დღეებს, უსაფრთხო, მშვიდობიან გარემოს.

ქართველი კაცი ყოველთვის იყურებოდა წინ, სწორად აღიქვამდა დროის ფენომენს, გენეტიკურ გამძლეობას უპირისპირებდა ყოველგვარ სიძნელეს. ყოველთვის სჯეროდა, რომ უკეთეს მომავალს ერთიანობით, შეთანხმებული მოქმედებით შეძლებდა.

ძვირფასო სენაკელებო, ქართველებო, გილოცავთ დამდეგ შობა- ახალ წელს! მშვიდობის, ერთიანობის, ურთიერთდანდობის, ბარაქის, ხვავის მომტანი იყოს 2021 ყოველი თქვენგანისთვის. ღვთის წყალობა, სიხარული, ღიმილიანი დღეები დაგბედებოდეთ!

დემურ გადელია,
სააქციო საზოგადოება ,,არქეოპოლისის დამფუძნებელი

სიკეთე და კეთილდღეობა მოეტანოს 2021 წელს

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს! გისურვებთ, რომ 2021 წელი მშვიდობის, სიკეთისა და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსთვის.

ყოველი ახალი წლის დადგომა ახალი საქმეების წამოწყებისა და სურვილების ასრულების საწინდარია. ამიტომ გისურვებთ, რომ აგსრულებოდეთ ყველა ის ჩანაფიქრი, რომელიც თქვენი, თქვენი ოჯახებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისკენაა მიმართული.

2020 წელს განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რამაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება გააუმჯობესა. იმედი მაქვს ურთიერთთანამშრომლობით წამოწყებული ყველა მნიშვნელოვანი საქმე წარმატებით დასრულდება მომავალ წელს.

ბადრი კალანდარიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ძვირფასო თანაქალაქელებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სიხარულს!

ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს. მოლოდინით უკეთესი ცვლილებებისკენ, ახალი წელი ხომ ძველის დავიწყების და სიახლის სიმბოლოა.

გისურვებთ, რომ დამდეგი 2021 წელი იყოს დღეგრძელობის, სიკეთით და ბედნიერებით დატვირთული წელი.

მჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით შევძლებთ, რომ უკეთეს სენაკში ვიცხოვროთ.

ვიმედოვნებ, რომ ახალი წელი კიდევ უფრო მეტად საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო იქნება.

ინგა ქარდავა,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილე

კეთილდღეობას და წინსვლას გისურვებთ!

ბედნიერების, სიხარულისა და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს მომავალი წელი თითოეული ჩვენთაგანისათვის. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, ახალმა პროგრამებმა, რომლებიც ჯანდაცვისა და სხვა მნიშნელოვანი პრიორიტეტების მიმართულებებით განვახორციელეთ, საშუალება მოგვცა, ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა.

მომავალ წელს დაგეგმილი პროექტების მეშვეობით, სენაკის მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი იქნება. 2021 წელსადგილობრივ ხელისუფლება კიდევ ბევრი ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობისა და წინსვლისთვის.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ზაზა ნაჭყებია,
სენაკის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარე

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის 2020 წლის ანგარიშის პრეზენტაცია

10 დეკემბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზში, მუნიციპალიტეტში 2020 წელს განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ანგარიში გამართა.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, მერის ანგარიში – 2020 Facebook Live-ის ფორმატში ჩატარდა.

პრეზენტაციას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი შალვა სარდალიშვილი, თვითმმართველობის წარმომადგენლები და მერის მრჩეველთა საბჭოს წევრები ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს, მიუხედავად COVID 19-ის პანდემიის გამო შექმნილი საყოველთაო დამაბრკოლებელი გარემოებისა, მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესი პროექტები განხორციელდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ჩვენი დროის გმირების - ექიმ-ეპიდემიოლოგებისა და სამედიცინო სექტორის ყველა წარმომადგენლის მიმართ განსაკუთრებული მადლიერების გამოხატვის შემდეგ, დეტალურად მიმოიხილა 2020 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის მასშტაბით, უწყვეტ ტემპში შესრულებული სამუშაოები და სამომავლოდ დასახული პერსპექტივები.

ასევე, საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებისთანავე განხორციელებული საპრევენციო და მოსახლეობის მოწყვლადი ფენების მხარდასაჭერი სოციალური ღონისძებები.

პრეზენტაციაზე ხაზი გაესვა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, გარეგანათების ქსელის მოწყობის, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოების, სამელიორაციო და დაშრობითი, გაზიფიცირების, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის", კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების, ტურიზმის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის, სპორტული ინფრასტრუქტურის კუთხით განხორციელებულ პროექტებს.

,,ჩვენს მიერ განხორციელებული ყველა პროექტი ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებზე, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზეა გათვლილი და მორგებული. ამ და სხვა პროექტების განხორციელებით, ჩვენ გუნდურად და შემართებით გავაგრძელებთ ზრუნვას სენაკისა და სენაკელების საკეთილდღეოდ, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად"- აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ანგარიში

2020 წელი სენაკის მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელების წელია.

მიუხედავად ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი საყოველთაო დამაბრკოლებელი გარემოებებისა, ჩვენ მაქსიმალური ძალისხმევით შევძელით ჩვენს წინაშე მდგარ ურთულეს გამოწვევებთან გამკლავება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურიზმის განვითარების კუთხით მასშტაბური პროექტების წამოწყება, განხორციელება და სამომავლოდ დაგეგმვა.

მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ჩვენი დროის გმირების - ექიმ-ეპიდემიოლოგებისა და სამედიცინო სექტორის ყველა წარმომადგენლის მიმართ.

საქართველოში, კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებიდანვე, ისინი ბრძოლის პირველ ხაზზე დგანან და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, მაღალი პროფესიონალიზმით, სასწაულის ტოლფას საქმეს აკეთებენ საზოგადოების და ქვეყნის დასაცავად.

ასევე, აღნიშვნის ღირსია ყველა იმ ადამიანის თავდადება, ვინც, პანდემიის მძვინვარების ურთულეს დროში, ყოველდღიურ რეჟიმში, დაუღალავად შრომობს.

ახალი რეალობის შესაბამისად, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პარალელურად, ჩვენი საქმიანობა ეკონომიკური გაჯანსაღების, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ყველა სეგმენტის წინსვლისკენ იყო მიმართული.

2020 წელს, ქვეყნისა და სენაკისთვის გადამწყვეტ მომენტში, ჩვენმა თანაქალაქელებმა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება გამოიჩინეს და არჩევანი შეაჩერეს საქმის მკეთებელ, ქვეყნისთვის მოფიქრალ ადამიანთა ჯგუფზე, კონკრეტულად, ჩვენს ღირსეულ კანდიდატზე, რომელიც თავისი მდიდარი შინაგანი რესურსით, საქმის ცოდნითა და გამოცდილებით მზადაა ემსახუროს თავის ქვეყანასა და თითოეულ ჩვენგანს.

უალტერნატივოა ქართული ოცნების აღმშენებლური, ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე, უპრეცენდენტო პროექტების განხორციელებაზე ორიენტირებული, ჭეშმარიტად ეროვნული პოლიტიკა ჩვენი უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ჩემი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის წარმმართველი იყო, არის და იქნება საზოგადოებასთან მუდმივი კავშირი, ხალხისგან წამოსული ინიციატივებით ხელმძღვანელობა, მათ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება, არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის შესაძლებობებზე მოქალაქეებთან ღია დიალოგი.

წარმოგიდგენთ ჩვენი საქმიანობის შედეგებს 2020 წლის დასაწყისიდან დღემდე, თუ რა გაკეთდა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით და სამომავლოდ, შემდგომი განვითარების რა პერსპექტივები შევქმენით:

ბიუჯეტი და ფინანასები

სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 11 202 200 ლარით;

2020 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 19 510 800 ლარი; 11 თვის მონაცემებით შემოსული თანხების ოდენობამ - 16 652 900 ლარი, რაც 85,3%-ს შეადგენს;

მათ შორის:

გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 9 782 200 ლარით; 11 თვის მონაცემებით შემოსული თანხების ოდენობამ 8 249 600 ლარი შეადგინა, რაც 84,3%-ს შეადგენს;

გრანტების გეგმა განისაზღვრა 8 503 600 ლარით; 11 თვის მონაცემებით შემოსული თანხების ოდენობამ 7 141 700 ლარი შეადგინა, რაც 84%-ია;

აქედან, საერთაშორისო ორგანიზაცია (UNDP) – 60 000 ლარი;

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 457 400 ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი სამუშაოებისთვის - 6 778 200 ლარი;

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განსახორციელებლად - 738 000 ლარი;

საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - 470 000 ლარი; სხვა შემოსავლები - 1 025 000 ლარი; 11 თვის მონაცემებით, შემოსავლების ფაქტიურმა შესრულებამ 1 174 600 ლარი ანუ 114,6% შეადგინა; არაფინანსური აქტივების კლების გეგმა განისაზღვრა 200 000 ლარით; 11 თვის მონაცემებით შემოსული თანხების ოდენობა - 87 000 ლარი ანუ 43% შეადგინა;

წლის დასაწყისისთვის არსებული თავისუფალი სახსრების ნაშთი - 1 853 100 ლარი - მიიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად;

მათ შორის:

ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 852 000 ლარი

სხვა დონის ბიუჯეტებიდან მიღებული ტრანსფერი - 991 700 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სხვადასხვა სექტორის დასაფინანსებლად, 2020 წლის 11 თვეში გაიხარჯა:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 11 914 100 ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 138 400 ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1 747 300 ლარი;

საგანმანათლებლო სექტორი - 2 713 800 ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 729 100 ლარი;

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 41 200 ლარი;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 3 080 100 ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მხარდაჭერა

ჯანდაცვამ და მოსახლეობისადმი სოციალურმა მხარდაჭერამ, დღეს, კორონავირუსის მძვინვარების ხანაში, მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ახალი რეალობის შექმნასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ვირუსთან საყოველთაო ბრძოლის პირობებში, ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გახდა.

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამები ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციასა და კრიზისზე დროულ რეაგირებას;

მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გაძლიერების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას;

კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებული ნაწილის კვებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას, მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარებას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას, ოჯახური ძალადობის მსხვეპლთა დაცვას, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას, იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარებას, მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას, აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საამშენებლო მასალებით დახმარებას და დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას.

აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამებისათვის - 1 138 400 ლარი გამოიყო; ფაქტიური ხარჯი - 999 927 ლარი;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამებით 10 488-მა ბენეფიციარმა ისარგებლა; მათ შორის: დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში - 7 955-მა მოქალაქემ; ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში - 2 533-მა მოქალაქემ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამის ბიუჯეტმა 218 563 ლარი შეადგინა; აღნიშნული პროგრამით 7 955-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი - 345 000 ლარი;- ფაქტიური ხარჯი - 283 315 ლარი; პროგრამით 720-მა ბენეფიციარმა ისარგებლა; აქედან, სტაციონარული და ჰოსპიტალური მომსახურებით 344-მა მოქალაქემ ისარგებლა; სამედიცინო კვლევები 110 მოქალაქეს დაუფინანსდა;

ბავშვთა კატეგორიაში, ოპერაციული მკურნალობისთვის დახმარება 65 მოზარდს გაეწია;

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 31 მოზარდს გაეწია;

ონკოლოგიური დაავადების მქონე 129 მოქალაქეს ქიმიო, იმუნო, სხივური და რადიაციული თერაპიის კურსი დაუფინანსდა; მაღალტექნოლოგიური, ინსტრუმენტული კვლევები ონკოლოგიური დაავადების მქონე 41 პაციენტს დაუფინანსდა; მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამის ბიუჯეტმა 39 670 ლარი შეადგინა; უფასო მედიკამენტების პროგრამით 350-მა სოციალურად დაუცველმა მოქალაქემ ისარგებლა;

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი - 216 000 ლარი; ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპი ,,სენაკის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურებისა და მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი"; ფაქტიური ხარჯი - 191 706 ლარი; ბენეფიციართა რაოდენობა - 200;

მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამის ბიუჯეტი - 53 400 ლარი; პროგრამით 84-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა ისარგებლა;

ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ბიუჯეტი - 18 400 ლარი; ფაქტიური ხარჯი - 17 873 ლარი; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარება: ბენეფიციართა რაოდენობა - 3;

იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარება: ბენეფიციართა რაოდენობა - 7; ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა: ბენეფიციართა რაოდენობა - 65;

სარიტუალო მომსახურების პროგრამის ბიუჯეტი - 18 700 ლარი; ფაქტიური ხარჯი - 11 100 ლარი; ბენეფიციართა რაოდენობა - 53;

ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი - 53 000 ლარი; ფაქტიური ხარჯი - 51 000 ლარი;ბენეფიციართა რაოდენობა - 19;

სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამის ბიუჯეტი - 20 000ლარი; ფაქტიური ბიუჯეტი - 14 400 ლარი;სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ქვეპროგრამით 20 - მა ბენეფიციარმა ისარგებლა;

ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების ქვეპროგრამით - 5-მა ბენეფიციარმა;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი - 29 400 ლარი; ფაქტიური ხარჯი - 29 300 ლარი; ბენეფიციართა რაოდენობა -110; სოციალური ღონისძიების პროგრამის ბიუჯეტი - 9 700 ლარი;

(გაგრძელება მე-2 გვ)

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს, სამამულო ომის ვეტერანებს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეებს, ISAF - ის მისიაში და აგვისტოს ომის დროს, ომში დაღუპული მეომრებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ოჯახებს ფინანსური დახმარება 9 700 ლარის ფარგლებში გაეწიათ; ბენეფიციართა რაოდენობა - 27; თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი – 27560 ლარი; ბენეფიციართა რაოდენობა - 20; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სამშენებლო მასალით დახმარების პროგრამის ბიუჯეტი - 100 000 ლარი; ფაქტიური ხარჯი - 74 815 ლარი; პროგრამის ფარგლებში საამშენებლო მასალებით დახმარება 65 მოქალაქეს გაეწია; დღის ცენტრ ,,ლაზარე - 2015-ის" თანადაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი - 6 000 ლარი; ფაქტიური ხარჯი - 5 500 ლარი; ბენეფიციართა რაოდენობა - 15; პროექტის - ,,საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" თანადაფინანსების ბიუჯეტი - 24 500 ლარი; ბენეფიციართა რაოდენობა - 770.

კორონავირუსის პრევენციისთვის

ქვეყანაში კორონავირუსის პირველივე შემთხვევის დაფიქსირებისთანავე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალური ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების დირექტორები შედიან.

კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც მერიისა და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. მოხალისეები, საჭიროების მიხედვით, უზრუნველყოფენ: ბენეფიციარებისთვის უფასო სასადილოდან საკვები პროდუქტების შინ მიტანას; საბავშვო და ბაგა-ბაღებში პროდუქტების დარიგების პროცესში მონაწილეობას; ბანკებში, კვების ობიექტებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დისტანციის დაცვას და სხვა საჭირო ღონისძიებებს. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა: მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღში; კერძო საბავშვო ბაღებში; ზოგადსაგანმანათლებლო სექტორის ყველა საჯარო და კერძო სკოლაში; ყველა ადმინისტრაციულ შენობაში; მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში; ტაძრებში; თეატრის შენობაში; საავჭრო ობიექტებში; მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრში.

დეზინფიცირდა ,,საჯარო სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში" მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩართული 45 ავტოსატრანსპორტო საშუალება. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სხვა შენობა-ნაგებობების დეზინფექციისთვის 4 716 ლარი დაიხარჯა;

სადეზინფექციო, ჰიგიენური და დამცავი საშუალებების შესაძენად - 4 490 ლარი; სტიკერების ,,დაიცავი დისტანცია" შეძენისთვის - 800 ლარი.

COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, არამალფუჭებადი პროდუქტები, რომლებიც არდადეგების დროს საბავშვო და ბაგა-ბაღებში უნდა გამოყენებულიყო, სენაკის მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღის 1307 აღსაზრდელს 5 ეტაპად დაურიგდა; პროდუქტებით უზრუნველყოფისთვის 201 559 ლარი დაიხარჯა.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოსახლეობას საჭირო მომსახურებას ყოველდღიურ რეჟიმში უწევს.

კორონავირუსის პანდემიასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან რისკ ჯგუფში მყოფი ბენეფიციარების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისთვის - 25 600 ლარი დაიხარჯა;

ბიზნესის, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, მუნიციპალიტეტის მერიამ საკვები, ჰიგიენური საშუალებები და ტანსაცმელი 900 ოჯახს გადასცა. დახმარება გაეწია 1500 ოჯახს; მათ შორის: მარტოხელა ხანდაზმულებს; შშმ პირებს; მრავალშვილიან ოჯახებს; მარტოხელა დედებს; განსაკუთრებული საჭიროების მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებს.მზრუნველობამოკლებულთა კვების 225 ბენეფიციარს კვების პროდუქტები გატანით მიეწოდება.

კვების ცენტრის 70 წელს გადაცილებულ ბენეფიციარებს მოხალისეები, ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, დღიურ ულუფას საცხოვრებელ სახლებში აწვდიდნენ.

პანდემიასთან ბრძოლის პირობებში შეუფერხებლად გრძელდება მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის კუთხით მომსახურების გაწევა; ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ინფრასტრუქტურა:

2020 წელს, 9 თვის მანძილზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 13 539 048 ლარი შეადგინა;

მათ შორის: გზების რეაბილიტაცია - 7 224 216 ლარი; გარე-განათების ქსელის მოწყობა - 103 000 ლარი; სანიაღვრე არხებზე რკინა-ბეტონის ჯებირების მოწყობის, ქალაქად მრავალსართულიანი ბინების და საზოგადოებრივი დანიშნულების კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია - 278 000 ლარი; სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - 156 000 ლარი; ნაპირსამაგრი სამუშაოები - 2 604 000 ლარი; სამელიორაციო და დაშრობითი პროექტები - 588 083 ლარი. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" - 738 000 ლარი; გაზიფიცირება - 83 000 ლარი; საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - 579 000 ლარი; N5 ბაგა-ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობა - 1 464 000 ლარი; მინი სპორტული მოედნების მოწყობა - 121 800 ლარი; სოფელ ბეთლემში ტურისტული სივრცის მოწყობა - 80 000 ლარი; საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა - 249 249 ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები - 1 610 700 ლარი; აღნიშნულ პროექტებზე 560 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული. 2020 წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიგო ასფალტობეტონისა და ბეტონის გზები - 6,9 კმ-ზე; ქალაქად - 8,6 კმ-ზე; ღირებულებამ 4 4111 725 ლარი შეადგინა.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 540 400 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები ქალაქად:

ქუთაისის ქუჩაზე, ცოტნე დადიანის ქუჩიდან თეკლათის დედათა მონასტრის მიმართულებით, წლების შემდეგ პირველად განხორციელდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პროექტის ღირებულებაა 438 373 ლარი და სრულად 2021 წელს დასრულდება.

წლების შემდეგ პირველად რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო შონიას ქუჩა, ღირებულებით - 210 561 ლარი; პროექტი 2021 წელს დასრულდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა არჩაიას ქუჩაზე, ღირებულებით - 54 842 ლარი; ასათიანის ქუჩის განშტოებაზე, ღირებულებით - 170 920 ლარი; ჩხეტიას ქუჩის პირველ ჩიხში, ღირებულებით - 82 681 ლარი; რეაბილიტირდა ქუთაისის ქუჩის მეორე შესახვევი - ღირებულებით 176 807 ლარი; სილოვან შამათავას ქუჩის ჩიხი - ღირებულებით 190 840 ლარი; პროექტი 2021 წელს დასრულდება. ქალაქად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა ასევე - ტაბიძის, ნარმანიას, შხეფის, ძმობის, შელეგიას, სახოკიას, დემეტრე თავდადებულის, ბორჯომის, ქიაჩელის, ტაბიძის ქუჩებზე, აკაკი ელიავას მეორე ჩიხში, არსენას ქუჩის ორივე ჩიხსა და ძმები კანკავების ქუჩის ჩიხში.

ბეტონის საფარი დაიგო ძმათა სასაფლაოს შიდა გზაზე, სადაც ასევე განხორციელდა სანიაღვრე არხის მოწყობა. სამუშაოების ღირებულებამ 92 165, 88 ლარი შეადგინა.

რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია და საკალანდარიშვილოს სასაფლაოს შიდა გზა; პროექტის ღირებულებამ 108 823 ლარი შეადგინა.

სტალინის ქუჩაზე, მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, მოეწყო მონოლითური რკინა-ბეტონის საფარი; ღირებულებით - 121 216 ლარი. ასფალტობეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს ნადარეიშვილის ქუჩაზე.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები ადმინისტრაციულ ერთეულებში:

დასრულდა თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გოლასკურში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის გრანდიოზული პროექტი - 7 234 კმ-ზე; უპრეცედენტო მასშტაბის სამუშაოების ღირებულებამ 2 500 000 ლარი შეადგინა.

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საჩიქობავოს უბანში დიდი ქართველი ენათმეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმამდე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარი მოეწყო. პროექტის ღირებულება - 357 137 ლარი.

ვგეგმავთ არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმისთვის ოდის შეძენას, სადაც ახალი სამუზეუმო სივრცე მოეწყობა.

ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სასირიოს უბანში, წყალსადენის სათაო ნაგებობის გასწვრივ, მოეწყო ასფალტის საფარი; პროექტის ღირებულება 287 973 ლარს შეადგენს და 2021 წელს დასრულდება.

ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა მდინარე ტეხურის ხიდთან და ,,დედამოკას" თერმულ წყლებთან მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პროექტის ღირებულებამ 338 865 ლარს შეადგინა.

ასფალტის საფარი დაიგო მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ბათარიაში, ღირებულებით - 134 643 ლარი.

ბეტონის გზა მოეწყო მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სახარბედიოს საეჯიბიოსა და ზანის ადმინისტრაციული ერთეულის საკვაშილავოს უბნებში.

ხორშის ადმინისტრაციული ერთეულში განხორციელდა ცენტრამდე მისასვლელი გზის ასფალტირება, ღირებულებით - 302 289, 04 ლარი; პროექტი 2021 წელს დასრულდება.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, რკინიგზის გასწვრივ; ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში: სასირიოსა და საბესელიოში, საბესელიოს მეორე შესასვლელსა და სოფელ ნოსირის ორივე ჩიხში; ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საარჩაიოში; ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის საგუგუნავოს უბანში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ხიდის, ზანაუშაფათის გზაზე, მდინარე ცივზე არსებული ხიდის სათავისის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ჯოლევის უბანში - საგზაო ინფრასტურუქტურის მოწყობის სამუშაოები. განახლებული ინფრასტრუქტურითა და კეთილმოწყობილი პარკინგით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური სივრცე შეემატება:

კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლის, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარედ, პარკინგის ასფალტირების სამუშაოები ხორციელდება.

ისტორიული კიბე

2020 წელს, ქალაქს, ფალიაშვილისა და კანკავას ქუჩების დამაკავშირებელი ასსაფეხურიანი ისტორიული კიბის რეკონსტრუქცია -რეაბილიტაციის შედეგად, კიდევ ერთი ,,წლის პროექტი" შეემატა;

ისტორიული კიბე, საიდანაც ქალაქის პანორამა იშლება, გასულ საუკუნის 50-იან წლებში აშენდა. წლებია, რაც მან თავისი ფუნქცია დაკარგა, ჩაიქცა და საფეხურები გაუდაბურდა, მისკენ მიმავალი გზა კი - გაუვალი გახდა.

პროექტის მიხედვით, კიბის დიზაინში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, მოხდა ასევე საფეხურის, მოაჯირების, განათებისა და გამწვანების ზოლის განახლება.

პროექტის განხორციელებით, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე სენაკის სტუმრებისთვის, ქალაქის ერთ-ერთი უმაღლესი წერტილის დალაშქვრისა და ულამაზესი ხედებით ტკბობის შესაძლებლობა შეიქმნა.

შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 123 910 ლარი შეადგინა.

პირველი ავტომობილი

სენაკისთვის სასიამოვნო სიახლეა ასევე ქალაქის რკინიგზის სადგურთან პირველი ავტომობილის მაკეტის განთავსება, რომლის ისტორია სწორედ სენაკს უკავშირდება.

1907 წელს აზნაურმა ვარლამ გვათუამ სენაკში, საქართველოში პირველად, სავარაუდოდ ,,დაიმლერის" ფირმის ავტომანქანა ჩამოიყვანა.

ამ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით, სენაკის რკინიგზის სადგურთან, პირველი ავტომანქანის სიმბოლური ინსტალაცია მოეწყო.

სამუშაოების ღირებულებამ 28 988 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს რეაბილიტირდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საკონცერტო დარბაზი, ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, ეკის ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკა.

გარე ფასადების რეაბილიტაციის პროექტები

ქალაქ სენაკში მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის პროცესი 2019 წლიდან დაიწყო.

ამ დროისთვის დასრულებულია რუსთაველის №166, №168, №168-ბ, №231, №235, №235-ა, №170, №182, №239, №241, №245, №247, №251-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია; ასევე, ჭავჭავაძის №35, №87, №89, №103, №105; წმინდა ნინოს № 8, №10, №11, №14; მშვიდობის №22; აკ.ელიავას №21; წერეთლის №1-ში მდებარე კორპუსების გარე კედლების მოწყობის სამუშაოები; ყოფილი სასტუმრო ,,ეგრისის" ფოიეს რეაბილიტაცია; განახლდა კორპუსების დაზიანებული სახურავები.

2019-2020 წლებში მოეწყო 25 მრავალბინიანი კორპუსის ფასადი; პროექტის ღირებულებამ 704 703 ლარი შეადგინა. დევნილთა დასახლებაში ჩატარდა ეზოებისა და გზის ასფალტირების სამუშაოები, ღირებულებით - 144 910 ლარი.

(გაგრძელება მე-4 გვ)

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

აღნიშნული პროექტის განხორციელებით ქალაქის ინფრასტრუქტურა არა მარტო ფუნქციური კუთხით, არამედ ესთეტიკის მხრივაც წესრიგდება.

ამ მიმართულებით წინსვლა შემდეგ წლებშიც გაგრძელდება.

გარე განათება

გარე განათების სისტემის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები სენაკში 2017 წლიდან მიმდინარეობს.

2020 წელს, გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე 103 000 ლარი დაიხარჯა. (დიოდური) სანათები დამონტაჟდა: ქალაქის ცენტრალურ პარკში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში; ასათიანის, დადიანის, შონიას, შელეგიას, ნადარეიშვილის, კომუნარების, შავი ზღვის, ნარმანიას, სულხან-საბას, ნაფეტვარიძის, ხორავას, თაყაიშვილის, კალანდაძის, გუბაზ მეფის, ჭავჭავაძის, სტალინის ქუჩებზე. ადმინისტრაციულ ერთეულებში: ძველი სენაკი - საგიგიბერიოს უბანი, კოტიანეთი - სორტას მონაკვეთი; მენჯი - სახარბედიოს უბანი; ბეთლემი - „ზიპლაინის" ტერიტორია.

სანიაღვრე ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო, სანიაღვრე ქსელის მოწყობისა და არხების ამოწმენდის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

მიმდინარე წელს ქალაქ სენაკში, ჭავჭავაძის და ჯანაშიას ქუჩებზე, კლდიაშვილის და ელიავას ქუჩების კვეთაზე განხორციელდა სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და მოწყობის სამუშაოები.

სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროცესი ასევე დასრულებულია ლერმონტოვისა და დავითაიას ქუჩების კვეთასთან, სადაც მოეწყო რკინა-ბეტონის ჯებირიც.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით მოგვარდა პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში, უხვი ნალექის დროს ქალაქში იქმნებოდა;

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო; თავიდან ავიცილეთ საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საფრთხე, რაც ამავდროულად მუნიციპალიტეტის ფინანსურ რესურსებს დაზოგავს.

ნაპირსამაგრი სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, მდინარე რიონსა და მდინარე ტეხურზე, 5 ლოკაციაზე, ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა.

მათ შორის: ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ ისულაში - ორ ლოკაციაზე; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, სირიაჩქონსა და ბორნის მიმდებარედ - სამ ადგილზე;

ღირებულება - 2 604 000 ლარი.

სანაპირო ზოლი გამაგრდა საერთო სიგრძით - 1 144 მ.

პროექტის განხორციელებით საგრძნობლად შემცირდება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დატბორვის და ნაპირის ჩამოშლის საშიშროება.

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ასევე იგეგმება ამორტიზირებული ბორნის ახლით შეცვლა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

დაშრობითი და სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები

2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში მასშტაბური დაშრობითი და სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, გაიწმინდა 42 კმ. სიგრძის არხი; სამუშაოების ღირებულებამ 465 000 ლარი შეადგინა;

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, განხორციელდა 3,5 კმ. არხის ამოწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 2 300 ლარი;

გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, 7 კმ. სიგრძის არხს მასშტაბური ამოწმენდითი სამუშაოები ჩაუტარდა; სამუშაოების ღირებულებამ 18 000 ლარი შეადგინა;

დაშრობითი და სამელიორაციო სამუშაოები განხორციელდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, 400 გრძივ მეტრზე; ღირებულებით - 23 218 ლარი; შედეგად, მოსახლეობას საყანე და საკარმიდამო მიწის ფართობების დატბორვის საფრთხე მოეხსნა.

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, 16 740 გრძივ მეტრზე, 260 ჰა. მიწის ფართობზე, ჩატარებული 79 565 ლარის სამუშაოები ორ პროექტად განხორციელდა.

სულ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სამელიორაციო პროექტების ღირებულებამ 588 083 ლარი შეადგინა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 738 000 ლარი გამოიყო.

პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში 62 პროექტი განხორციელდა.

ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად მოიხრეშა შიდა საუბნო გზები, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, მოეწყო გარე განათების სისტემა, ხიდ-ბოგირები, მგზავრთა მოსაცდელები, რეაბილიტირდა საბავშვო ბაღები და სხვ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდა.

მუნიციპალური ტრანსპორტი

პირველად სენაკის სინამდვილეში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მუნიციპალური ტრანსპორტი მოემსახურება.

ამ ეტაპზე სენაკს ქალაქ თბილისის მერიამ 5 მუნიციპალური ავტობუსი გადმოსცა.

ავტობუსები მოემსახურებიან მოქალაქეებს და უზრუნველყოფენ მათ დროულ და კომფორტულ გადაადგილებას.

გაზიფიცირება

მიმდინარე წელს, ქალაქად და სოფლად, გაზსადენის ქსელზე დაერთებულია 1 650 აბონენტი. მათგან 80% ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას წარმოადგენს. ქალაქად გაზიფიცირდა: ბელიაშვილის, თამარის, სტალინის, სახოკიას, შელეგიას, მთის კალთის, დედის, რუსიას, ჩოლოყაშვილის, მშვიდობის, ნარმანიას, შავი ზღვის, ნადარეიშვილისა და ნაფეტვარიძის ქუჩები; ფიროსმანისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების დამაკავშირებელი მონაკვეთი. სოფლად გაზიფიცირდა: ტყირის, კოტიანეთის, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საკილასონიოს,

საბესელიოსა და საოდიშარიოს უბნების მოსახლეობა.სრულად გაზიფიცირდება მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები: ბათარია, სახარბედიო, საწულეისკირიო, პერტული, სკურია და საგაბესკირიო.

ამ ეტაპზე მენჯისა და ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულებში, 867 კომლისთვის, ბუნებრივი გაზსადენის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტის ქვედა ზონის 8 ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა სრულად იქნება გაზიფიცირებული.

წყალმომარაგების პროექტები

ახლა კი რაც შეეხება, წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს პრობლემას:წყალმომარაგების კომპანია, რეგიონების მასშტაბით, წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. 2021 წლიდან იგეგმება სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლასკურის, ზემო ჭალადიდის, ხორგიშისა და მიმდებარე უბნების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა. პროექტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. სამუშაოების შედეგად აღნიშნული სოფლების 1 000-მდე მაცხოვრებელი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს. 2021 წლიდან ასევე განხორციელდება ქალაქ სენაკის ცალკეული ქუჩებისა და მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობა. პროექტის ღირებულება მილიონ ლარს შეადგენს. სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაახლოებით 300 ადგილობრივი მოსახლე გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა და ფერმერებზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„ქართული ოცნების" სახელისუფლებო გუნდის მოსვლის დღიდან დღემდე განხორციელდა არაერთი ახალი პროექტი, რომლებმაც ფერმერებისთვის უკვე მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა.

ფერმერებისთვის

შეიქმნა 4 ახალი და გაფართოვდა 8 აგროსაწარმო;

შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 295-მა პირმა;

სახელმწიფოს მხარდაჭერით, „დანერგე მომავლის" ფარგლებში, 145 ჰა-ზე ხეხილის ბაღები გაშენდა;

ფუნქციონირებს 15 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი;

სახელმწიფო პროგრამის „აგროდაზღვევა" ფარგლებში, 381-მა პირმა 578 482 ლარის ღირებულების მოსავალი დააზღვია;

„თხილის გადარჩენის პროგრამის" ფარგლებში, თხილის მწარმოებელთა ასოციაციამ, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თხილის მწარმოებლებს 27 ერთეული 200 ლ. ტევადობის შესასხურებელი აპარატი გადასცა;

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, კონკრეტულ ლოკაციებზე, მავნებლის გავრცელების კერებში, საკარმიდამო ფართობები თერმული ნისლის ტექნოლოგიით, ხოლო სიმინდის მასივები ცივი შესხურების მეთოდით დამუშავდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ლოკალური ღონისძიებების შედეგად, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად შემცირდა მავნებლის მიერ მიყენებული ზიანი;

„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)" თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 6 ბენეფიციარი. 2020 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტში, „დანერგე მომავლის" ფარგლებში, 59 ჰა-ზე ხეხილის ბაღები გაშენდა;

მათ შორის: 35 ჰა-ზე - მოცვის კულტურა. 2020 წელს მერძეველობის განვითარების მიმართულებით 4 პროექტი დაფინანსდა.

გრძელდება პროექტი „აგროტური ფერმერებისთვის";

აგროტურის მიზანი - ფერმერებისთვის იმ სიახლეებისა და სერვისების გაცნობა, გამოცდილების გაზიარება, რომელთა გამოყენებაც მათ საქმიანობის გაფართოებასა და პროფესიულ განვითარებაში დაეხმარებათ.

ადგილობრივი ფერმერების და მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერია უზუნველყოფს მეწარმეებისა და ფერმერების ჩართულობას საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებულ გამოფენებსა და ფესტივალებში;

ვპარტნიორობთ CENN -ის მიერ დაწესებულ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მოსაპოვებელ კონკურსს.

მეწარმეებისთვის

„ქართული ოცნების" სახელისუფლებო გუნდის მოსვლის დღიდან დღემდე, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისთვის გატარდა არაერთი რეფორმა და მეწარმეთა მაქსიმალური ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

დაიწყო და ბიზნესის საჭიროების შესაბამისად მუდმივად ახლდება მეწარმეთა მხარდამჭერი პროგრამები. პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში: გაიხსნა 4 ახალი საწარმო; ინვესტიცია - 4.5 მლნ ლარზე მეტი. მხარი დაეჭირა 71 პროექტს; ბენეფიციარი - 115 მოქალაქე; ინვესტიცია 1 მლნ ლარამდე.

პროგრამის ფარგლებში მეწარმეთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობისთვის, ინდუსტრიულ ნაწილში აქამდე არსებულ მიმართულებებს დაემატა კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები, ფიზიკური, ქიმიური და სხვა ანალიზური გამოცდების ჩატარება და ა.შ.

ამოქმედდა საქართველოს მთავრობის ახალი პროექტი „სახელმწიფო - შენი პარტნიორი", რომლის ფარგლებში, ყველას, ვინც არის ან ვისაც სურს გახდეს მეწარმე ან ფერმერი, შეუძლია სახელმწიფო პროგრამებზე წვდომა უკვე ერთ სივრცეში, ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღოს. მომსახურების მიღება შესაძლებელია საზოგადოებრივ ცენტრებსა და იუსტიციის სახლებში; ასევე მოქმედებს გაერთიანებული ელექტრონული პორტალი - https://programs.gov.ge/ გარემოს დასაცავად ტარდება გამწვანების აქციები;

მდინარე ცივზე აღდგენილია სამელიორაციო დანიშნულების საინჟინრო ნაგებობა "დიუკერი"; შედეგად, თავიდან ავიცილეთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჭარბი წყლის მიღება, სანიაღვრე არხებიდან ჭარბი წყლის გატარება და წყალმოვარდნები.

რეაბილიტირდა:

ცივი-ტეხურის მდინარეთშორისი მასივის მაგისტრალური არხები; ღირებულებით - 67 537 ლარი. აბაშა-ტეხურის მდინარეთშორისი მასივის მაგისტრალური არხები - 1 200 ჰა-ზე; ღირებულება - 34 431 ლარი; მოსარგებლე -1 500 ბენეფიციარი. თეკლათის, მენჯის, ახალსოფლისა და ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგდა მაგისტრალური და მიმღები არხები; დასუფთავების აქციების შედეგად მოისპო არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელები; ამოქმედდა მყარი ნარჩენების სეპარირების საპილოტე პროგრამა; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო ქარსაფარი ზოლი.

ვგეგმავთ: სასოფლო- სამეურნეო სავარგულების მიმდებარედ - ქარსაფარი ზოლების გაშენებას; პროექტის - „დამწყები მეფუტკრე" განხორციელებას; „აგროფესტივალი 2021-ის" ჩატარებას.

ტურისტული პოტენციალის განვითარება

სენაკის მუნიციპალიტეტი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდება. 2020 წელს, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, პროექტის „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით" ფარგლებში, ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი მოეწყო. პროექტი განხორციელდა საქართველოს მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) - ფაზა 2-ის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. ღირებულება - 80 000 ლარია, რომლის 25%-ს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს. ყველა მსურველს ეძლევა შესაძლებლობა, გაერთოს სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციებით: „თოკების პარკით"; 130 მეტრი სიგრძის ზიპლაინით; აქვეა ღია ბაზრობა - ადგილობრივი მეწარმეებისთვის პროდუქციის გაყიდვა-პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის; პარკირება/ავტოკემპინგის ზონა; ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა.

ტურიზმის სექტორით დაინტერესებულთათვის შეიქმნა ვებ და ფეისბუქ გვერდები:

ამ ეტაპზე ვახორციელებთ პროექტს - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის"; შემუშავდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა; პროექტის მთავარი მისია - მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

მიზანი - მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტი-

(გაგრძელება მე-5 გვ)

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

ურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რის მიღწევასაც საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებისა და ტექნიკური უნარების განვითარებით, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მეშვეობით შეძლებენ.

ევროკავშირის ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" თავის პარტნიორებს სთავაზობს ისეთ მიდგომას, რომელიც დაეხმარება მუნიციპალიტეტს მიაღწიოს: დაინახოს საკუთარი შესაძლებლობები, რათა შეძლოს ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება; შეიძინოს აუცილებელი ცოდნა და უნარები, რათა გააფართოვონ საკუთარი შესაძლებლობები და განახორციელონ დადებითი ცვლილებები; შექმნას მასზე მორგებული გადაწყვეტები; განახორციელოს განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებები და შეაფასოს მიღწეული შედეგები.

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის

კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ძეგლის და სენაკის საგიზიტო ბარათის, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია დასრულებულია. არქიტექტორ ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძის პროექტით 1953-59 წლებში აშენებული ულამაზესი თეატრი ყოველმხრივ რეაბილიტაციას საჭიროებდა. 2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძეგლის რეკონსტრუქცია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" მხარდაჭერით განხორციელდა და მისი ღირებულება 10 მილიონ ლარამდეა.

ისტორიული შენობის რეაბილიტაციის ფარგლებში ჩატარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები; გამოიცვალა შენობის სახურავი; მოეწყო თბოიზოლაციისა და სადრენაჟე სისტემები; სრულად განახლდა ელექტროგაყვანილობა; ჩატარდა ფუნდამენტისა და კედლების გამაგრებითი სამუშაოები; სრულად რეაბილიტირდა გარე ფასადი და ინტერიერი; რესტავრაცია ჩაუტარდა და აღდგა კედლის უნიკალური მხატვრობა; დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების გარე განათების, სასცენო განათებისა და აკუსტიკის სისტემები. თეატრში მსგავსი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები არასოდეს არ ჩატარებულა.

139-ე სეზონზე ფარდა განახლებულ თეატრში გაიხსნება და უმაღლესი თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი თეატრი შეძლებს უმასპინძლოს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს.

გრძელდება კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის სრული რეაბილიტაცია.

რეაბილიტაციისა და კონსერვაციის სამუშაოებმა ნაქალაქარის ქვედა ტერასის ყველა სეგმენტი მოიცვა, რაც გვირაბის, რკინის ხიდის, საფორტიფიკაციო ნაგებობების, სასახლეებისა და უნიკალური წყალსაცავის მოწესრიგებასა და სრულ კონსერვაციას ითვალისწინებდა. დასრულებულია ორმოცმოწამეთა ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის ეტაპი. IV საუკუნის ტაძარი სრულად გადაიხურა ავთენტური ფორმის კრამიტით, რომლის დიზაინის დადგენაც არქეულოგიური გათხრებისას გამოვლენილი უძველესი კრამიტის შედეგად გახდა შესაძლებელი. მუზეუმ-ნაკრძალის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში სრულად რეაბილიტირდა და გამაგრდა მდინარის გაბიონები.

მოეწყო ავტოპარკინგის სივრცე. მოწესრიგდა ნაქალაქარის ქვედა ტერასის ინფრასტრუქტურული ნაწილი, მოეწყო სავალი ბილიკები, მისასვლელი გზები. დასრულებულია ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ფერდობისა და ციტადელის პროექტირების სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა, სადაც, ექსპოზიციის სახით, ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები გამოიფინება. ახალ მუზეუმშივე განთავსდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარე არქეოლოგიურ მისიებს მოემსახურება.

2016 წელს დაწყებულ კომპლექსურ სამუშაოებს სრულად აფინანსებს საქართველოს მთავრობა. მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტი 4 წლის განმავლობაში 14 მილიონ ლარს გაიღებს. სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოების დასრულება 2022 წლისთვისაა დაგეგმილი.

განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა

განათლების სისტემის განვითარება, მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება, განახლებული ინფრასტრუქტურაზოგადსაგანმა-ნათლებლო სკოლებში, სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რადგან მომავალი განათლებაშია.

2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 12 პროექტი განხორციელდა; სამუშაოების ღირებულებამ 529 257 ლარი შეადგინა. ცენტრალური გათბობის სისტემით აღიჭურვა 8 საჯარო სკოლა; ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება 21 სკოლის 212 პედაგოგის ტრანსპორტირების საფასური; უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფილია 21 სკოლის 1 429 მოსწავლე; ინკლუზიური განათლების პროგრამით, მომსახურეობა გაეწია 400-მდე მოსწავლეს; შშმ პირებისთვის ადაპტირებულია 12 საჯარო სკოლა; მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ინტერნეტიზირებულია; ამ ეტაპზე მიმდინარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. სენაკში დავიწყეთ ინოვაციური ჰაბის მშენებლობა. ინოვაციების ცენტრი ერთ სივრცეში რამდენიმე კომპონენტს და სერვისს გააერთიანებს: სატრენინგო სივრცე; საერთო და სამუშაო სივრცე; შეხვედრებისა და კონფერენციების სივრცე; ფაბლაბი (Fabrication Laboratories – Fab Lab); სტუდენტებს საშუალება ექნებათ ინოვაციური იდეები რეალურად განახორციელონ ფაბრიკაციის ლაბორატორიაში არსებული მაღალტექნოლოგიური აპარატურის გამოყენებით.

თანამედროვე სტანდარტების შესაბიმისი ორსართულიანი შენობა სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტის ღირებულება 2 096 766 ლარს შეადგენს. მომავალი თაობის განვითარება და განათლება ბაღიდან იწყება. სააღმზრდელო დაწესებულებებში საუკეთესო პირობების შექმნა უპირობო პრიორიტეტია. ხელისუფლების დიდი მიღწევაა, რომ დღეს ბაღები უფასოა და ყველა ბავშვისთვის შეგვიძლია სკოლამდელი აღზრდის შეთავაზება. ვაშენებთ და ვარემონტებთ ბაღებს, ვაუმჯობესებთ პირობებს, რომ პატარები სათანადო გარემოში აღიზარდონ.

2020 წელს პროექტის "ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის"

ფარგლებში, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე, საბავშვო ბაღ „ოცნების " რეაბილიტაცია დასრულდა. ჩატარდა ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის გაფართოების, გადახურვის, სველი წერტილების, სააღმზრდელო ოთახების, საკონცერტო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბაღი ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

დევნილ და ადგილობრივ პატარებს 60 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი მოემსახურება.

პროექტი ლტოლვილთა დანიის საბჭომ (DRC), საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელა. ამავე პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს მეოთხე ბაგა-ბაღის მშენებლობა; სამუშაოების დასრულების შემდეგ, საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება 100 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ჯიხას ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული მე-5 ბაგა-ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე, საქართველოს მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი აშენდა. საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით კეთილმოწყობილი, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი, ორ ჯგუფზე გათვლილი სააღმზრდელო დაწესებულება 60-მდე აღსაზრდელს მოემსახურება. პროექტის ღირებულება 1 464 000 ლარს შეადგენს.

2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებში ნაწილობრივი რეაბილიტაციის 23 პროექტი განვახორციელეთ; საბავშვო და ბაგა-ბაღებს შევუძინეთ 24 884 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საჭირო საყოფაცხოვრებო ინვენტარი .

მომავალი წლიდან ვგეგმავთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, N3 და N7 ბაგა-ბაღების მშენებლობას.

კულტურის ხელმისაწვდომობა

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები გარკვეული პერიოდით გადაიდო. სოხუმის დაცემიდან 27 წლის შემდეგ, სენაკის გამორჩეულ შვილს, აფხაზეთის ომში დაღუპულ გენერალ-მაიორ გენო ადამიას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას წარდგინების საფუძველზე, უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. გენო ადამიას სახელი მიენიჭა სენაკის პირველ საჯარო სკოლას; გმირის სახელობის ქუჩაზე განთავსდა შესაბამისი აბრა. ჭავჭავაძის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ არსებული მოედანი სენაკის საამაყო შვილის, საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბესკირიას სახელობის გახდა. სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ისტორიულ შენობას მიენიჭა ცნობილი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შერვაშიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, სენაკის საპატიო მოქალაქის, დიმიტრი ჯაიანის სახელი. სენაკმა პირველად უმასპინძლა რეგიონული თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალს. ფესტივალი, ნოქალაქევის ისტორიულ ციხე-ქალაქში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლით „მთვარის მოტაცება" გაიხსნა. ქალაქმა უმასპინძლა ბათუმისა და ზუგდიდის თოჯინების თეატრებს. თეატრალური ფესტივალის სენაკური დღეები სენაკი აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის პრემიერამ - „წარსული ჩემი პროლოგია" დაასრულა. განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტი „საბავშვო არქეოლოგია"; გაიმართა „ევროპის მემკვიდრეობის დღეები 2020"; ფერების ფესტივალი 2020; მუსიკალური საღამო „მშვიდობა მსოფლიოს"; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით გამოიცა წიგნი „სენაკის საპატიო მოქალაქეები".

სპორტის ხელშეწყობა და ჯანსაღი წესის დამკვიდრება

2020 წლიდან სენაკში აქტიური საჭადრაკო ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო. საჭადრაკო ცხოვრებითა და მიღწევებით, გამოჩენილ მოჭადრაკეთა აღზრდის დიდი ისტორიითა და ტრადიციით გამორჩეულ ქალაქში, საჭადრაკო კლუბის დახურვიდან 27 წლის შემდეგ, ჭადრაკის სახლი გაიხსნა, რომელიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სენაკის კოლორიტის, მიხეილ ქურდოვანიძის სახელს ატარებს.

ამ ეტაპზე, ა(ა)იპი „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" ჭადრაკის სექციაში 50 მოზარდი ირიცხება. მნიშვნელოვანია, რომ გამორჩეული და მაღალინტელექტუალური თამაშის დასაუფლებლად, ახალგაზრდებს თუ მოზრდილებს, შესაბამისი გარემო აქვთ.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ახალგაზრდებში მისი პოპულარიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანია „გალფის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში, დასრულებულია მსოფლიო დონის კალათბურთელის, სენაკის საპატიო მოქალაქის, ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მოწყობა; იუსტიციის სახლის მიმდებარედ ასევე მოეწყო საკალათბურთო მოედანი და გამწვანებული სკვერი, რაც ადგილობრივ მოსახლეობასა და, განსაკუთრებით, მომავალ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ამასთან, კომფორტულ დასვენებას შეუწყობს ხელს. სენაკის მუნიციპალიტეტის ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებასა და მშვიდობის ქუჩის №223-ში, დასრულების ფაზაშია მინი სპორტული მოედნების მშენებლობა. ღირებულება - 121 800 ლარი. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, ახორციელებს ქალაქ სენაკის N3 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მინი სპორტული მოედნის, სოფელ ზანის საჯარო სკოლის მინი სპორტული მოედნისა და დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს; პროექტის ღირებულება 126 752 ლარს შეადგენს. გაგრძელდება მნიშვნელოვანი პროექტები: ჩვენს მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ყველა პროექტი ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებზე, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზეა გათვლილი და მორგებული.

ჩვენი საქმიანობის უცვლელი ორიენტირი და უმთავრესი ღირებულება სწორედ ადამიანია. ჩვენ, თითოეული მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით, მათი მონაწილეობით, გამჭვირვალედ წარვმართავთ თვითმმართველობის საქმიანობის ყველა სექტორს.

სამომავლოდ, ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით გაგრძელდება: დარჩენილი გზების რეაბილიტაცია; გაზიფიცირების სამუშაოები; სანიაღვრე არხების მოწესრიგება; გარე განათების სისტემის მოწესრიგება; ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და შეიქმნება მასთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, გაგრძელდება ახალი პროექტები; სპორტული მოედნების მოწყობა; სოფლების სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტიზაცია; მუნიციპალიტეტის დასუფთავების შესაძლებლობების გაზრდა; საირიგაციო და დამშრობი არხების მოწყობა; სოფლის მეურნეობის ტრადიციული და ახალი დარგების განვითარება; მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებით, სოციალური და სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; სენაკის სამშობიარო სახლის რეაბილიტაციის პროცესი; საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროექტები; ინოვაციური ჰაბის მშენებლობა, რომელიც ახალგაზრდებში მეცნიერულ-ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს; დაიწყება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი N3 და N7 ბაგა-ბაღების ახლი კორპუსების სამშენებლო სამუშაოები.

ამ და სხვა პროექტების განხორციელებით, ჩვენ გუნდურად და შემართებით გავაგრძელებთ ზრუნვას სენაკისა და სენაკელების საკეთილდღეოდ, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

პირველი საჯარო სკოლა - გამოწვევები, სიახლეები, პერსპექტივები

როგორც ცნობილია, პანდემიის გამო სკოლები დიტანციურ რეჟიმზე გადავიდნენ. რათქმა უნდა ამ გამოწვევას ფეხი აუწყო სენაკის №1 საჯარო სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა.

ონლაინ სწავლებაში მოსწავლეთა ჩართულობაზე, პედაგოგების კვალიფიკაციაზე, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის განხორციელებულ პროექტებზე საუბრობს №1 საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნინო გოგელიძე.

ქალბატონო ნინო, როდის გადავიდა სენაკის N1 საჯარო სკოლა დისტანციურ სწავლებაზე? თქვენი აზრით, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, როგორია მოსწავლეთა აქტივობა ონლაინ გაკვეთილებზე?

სსიპ გენო ადამიას სახელობის N1 საჯარო სკოლა დისტანციურ სწავლებაზეა 2020 წლის 9 ნოემბრიდან. მოსწავლეთა აქტივობა ონლაინ გაკვეთილებზე გასულ სასწავლო წელთან შედარებით გაცილებით მაღალია.

როგორ მოხდება იმ მოსწავლეთა შეფასება პირველ ნახევარში, რომელთაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში ინტერნეტის და სხვა ტექნიკურ საშუალებათა არქონის გამო.

სკოლამ შეაგროვა ინფორმაცია იმ მოსწავლეების შესახებ, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასწავლო პროცესში ინტერნეტის და სხვა ტექნიკურ საშუალებათა არქონის გამო. პედაგოგები უკავშირდებიან მათ სხვადასხვა ალტერნატიული საშუალებებით კონსულტაციებისათვის. სკოლა მზადაა ასეთი მოსწავლეები გარკვეული პერიოდულობით მოიწვიოს სკოლაში მასწავლებლებთან შესახვედრად. მათი შეფასება მოხდება კომპლექსული დავალებების საშუალებით.

როგორია სკოლის პედაგოგთა დამოკიდებულება თვითგანათლების, სიახლეებისა და ინოვაციებისადმი, რამდენი უფროსი მასწავლებელი, წამყვანი და მენტორი მასწავლებელია სკოლაში?

მასწავლებლები ზრუნავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში. სკოლაში არის 2 წამყვანი, 57 უფროსი, 1 მაძიებელი, 2 მოწვეული მასწავლებელი, 1 უფროსი მასწავლებელი ელოდება სტატუსის ცვლილებას, ხოლო 10 მასწავლებელი ელოდება სასერთიფიკაციო გამოცდებს, რომელიც კორონა ვირუსის პანდემიის გამო გადაიდო 2021 წლის ზაფხულამდე.

რა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და რა არის კიდევ დაგეგმილი?

2020 წელს სკოლამ საკუთარი სახსრებით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა სკოლის II კორპუსში. გარემონტდა II სართულის საკლასო ოთახები.

ასევე, სენაკის საპატიო მოქალაქის, ზაზა ფაჩულიას ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და კომპანია „გალფი"-ს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სკოლის ეზოში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკალათბურთო მოედანი, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება სკოლაში და მთლიანად სენაკში სპორტის ამ სახეობის განვითარების თვალსაზრისით.

ქალბატონო ნინო, წლევანდელი სასწავლო წელი ყველა სასწავლო წლისგან გამორჩეულია, თუმცა ახალი წელი სირთულეების მიუხედავად, მაინც იმედების და სურვილების დღესასწაულია. რას უსურვებთ მუნიციპალიტეტის პედაგოგებს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას?

დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება თითოეულ ქართველს გონიერება, არსებული რეალობის გაანალიზება და ყველაზე ძვირფასის-სიცოცხლის გადარჩენა. დღეს მასწავლებელი უნდა იყოს სწორი ქმედების, სულიერი სიმშვიდის მაგალითი, ამიტომ სენაკის პედაგოგიურ საზოგადოებას, სრულიად საქართველოს მოსახლეობას ვუსურვებ ჯანისა და სულის სიმრთელეს!

დღევანდელი რეალობა მივიღოთ, როგორც გამოწვევა, როგორც გამოცდა ადამიანობის და ვიწამოთ, რომ ღამეს დღე მოსდევს, ბინდს-ნათელი...

2021 წელი თითოეული ქართველისთვის ყოფილიყოს წარმატებების- ბედნიერების წელი!

ესაუბრა
მედეა ბაღათურია

„დეას" მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება

გარემოს დაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეა" 16 წელია აქტიურად და წარმატებით საქმიანობს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა გარემოს დაცვა, ქალთა უფლებების დაცვა და სამოქალაქო განათლება საზოგადოების ფართო ფენებში. დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებას ოდნავ ბარიერი შეუქმნა და სხვა დღის წესრიგზე გადართო კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ, თუმცა ევროკავშირის და თბილისისი ადამიანთა უფლებების სახლის მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა საშუალება მისცა არ შეწყვიტა საქმიანობა,უფრო მეტიც გაძლიერებულიყო ორგანიზაცია. სწორედ ეს გახდა სტიმული ორგანიზაციის თავმჯდომარისთვის ეზრუნა სამიზნე ჯგუფების-ქალების, მათ შორის მრავალშვილიანი დედების გაძლიერებასა და დახმარებაზე პანდემიის პირობებში.ასოციაცია „დეას" მიმდინარე პროექტი „COVID-19: სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მდგრადობა" მიზნად ისახავს სენაკის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებული სოფლებში(ფოცხო, ეკი, ზანა ნოქალაქევი, ძველი სენაკი, უშაფათი) მცხოვრები მრავალშვილიანი დედების და მარტოხელების მხარდაჭერას სოციალური პაკეტებით და

პანდემიით გამოწვეული სტრესის მართვის დაძლევას. ამ მიზნით პროექტის ფარგლებში მოწვეული იქნა ფსიქოლოგ-თერაპევტი თამარ კალანდაძე, რომელმაც ბენეფიციარებისათვის ადგილებზე ჩაატარა ტრენინგები სტრესის მართვასა და მენეჯმენტში. ოქტომბერ-დეკემბერის თვეებში ბენეფიციარებს ორ ეტაპად გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტები, (ჰიგიენური და სადეზინფეციო საშულები, თერმომეტრი და პირბადეები და ბავშვთა კვებისთვის საჭირო აუცილებელი პროდუქტები). საინფორმაციო მასალის საშუალებით ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილია გაეცნოს კოვიდ 19 სიმპტომებს, დაავადებისაგან თავის დაცვის წესებს და სტრესის მართვის სტრატეგიებს.

ვინაიდან, ჩვენთვის მთავარი ღირებულება არის ადამიანი და მისი უფლება ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში,ყოველთვის ვიქნებით ამ უფლების დამცველი და ვიზრუნებთ ჯანსაღი ცხოვრების წესების დამკვიდრებაზე და ადამიანების თანადგომაზე. მადლობას ვუხდი ევროკავშირს და თბილისის ადამიანთა უფლებების სახლს, რომ მოგვცა საშუალება ჩვენთვის გამოყოფილი თანხებით ოდნავ მაინც შეგვემსუბუქებია მრავალშვილიანი დედებისათვის პანდემიის პერიოდში გამოწვეული რუტინული მდგომარეობა -გვითხრა პროექტის კოორდინატორმა, ასოციაცია „დეას"თავმჯდომარემ თამარ მალანიამ. პროექტს, რომელიც გრძელდება აპრილის თვემდე, უკვე ჰყავს 30 მადლიერი ბენეფიციარი, რომელიც სარგებლობს ფსიქოლოგის უფასო მომსახურებით და სხვა ბენეფიტით. ასოციაცია „დეა" შესაძლებლობების ფარგლებში ისევ გააგრძელებს დასახული ამოცანების განხორციელებას .

ჟ. ჩაჩიბაია

ჩვენ დავამარცხეთ კოვიდი

ჩვენ ჯერ კიდევ დიდი საფრთხის წინაშე ვართ, საფრთხე კი რეალურია და დაუნდობელი. უხილავი მტერი - სასტიკი კორონავირუსული ინფექცია, ყოველი ჩვენთაგანის სახლთანაა ჩასაფრებული და თითოეულს გვემუქრება. უხილავმა მტერმა არაერთი სენაკელის ოჯახში შეაღწია, ზოგს მცირე ჩივილები ჰქონდა, ზოგს ცხელება და თავის ტკივილები, ზოგმა სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლს გადააბიჯა და საბედნიეროდ სძლია ვირუსს.

კოვიდგადატანილი ადამიანები მედიასთან საუბრობენ ვირუსის სიმძიმის ხარისხზე, იმ რთულ ემოციურ განწყობილებაზე, რომელიც თან ახლდა ამ ავადმყოფობას.

ნარგული ბაღათურია-როგორც კი გაგვიჩნდა სიმპტომები, მაშინვე გავიკეთეთ ტესტი, დაგვიდასტურდა და მე და ჩემი მეუღლე გადაგვიყვანეს კლინიკა „სენამედში". ვერ ვიტყვი რომ ძალიან მძიმე ავადმყოფები ვიყავით, მაგრამ არც მსუბუქი. დავკარგეთ ყნოსვა, გემო. გვქონდა სიცხე, ტკივილი სახსრებში. მიგნებულად ჩატარებული მკურნალობის შედეგად სრულიად გამოვჯანმრთელდით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „სენა-მედის" მთელს სამედიცინო პერსონალს, ექიმებს, მედდებს, სანიტრებს უღრმესი მადლობა გადავუხადო მაღალი პროფესიონალიზმისთვის, იმ სითბოსა და ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენდნენ ჩვენს მიმართ.

ჩვენთან იწვა გურული ქალბატონი **ნინო ცერცვაძე-ჯაყელი**, რომელიც საკმაოდ მძიმე ავადმყოფი იყო. ის ბათუმიდან გადმოიყვანეს „სენამედში". აღფრთოვანებული იყო „სენამედში" მომსახურების დონით. მთხოვა მის მაგივრად გადამეხადა მადლობა მედიკოსებისათვის მისივე სიტყვებით: „სენამედში" მე ვნახე როგორი რუდუნებით, ყურადღებით მკურნალობდნენ ავადმყოფებს, მათ შორის მეც. მინდა მადლობა გადავუხადო სენამედის მედპერსონალს, მთავარ ექიმს,ბატონ გიორგი თოლორდავას, რომ არა მათი გულისხმიერება, ძალისხმევა მე კოვიდს ვერ დავამარცხებდი. უფალი იყოს თითოეული მათგანის მფარველი.

თაკო ცხადაია -ვირუსი მე და ჩემს ვაჟიშვილს გვქონდა, ჯერ საბა დაინფიცირდა, მისგან გადამედო მე. გართულება არ გვქონია, ერთადერთხელ გვქონდა სიცხე, დავკარგეთ ყნოსვა და გემო. მქონდა წელის და ფეხის ტკივილები. რადგანაც ჩვენ მსუბუქი პაციენტები ვიყავით, ვმკურნალობდით სახლში. პანიკაში არ ჩავვარდნილვართ, ვიცავდით რეკომენდაციებს; ძირითადად ვღებულობდით ვიტამინების კომპლექსს. ყნოსვა და გემო მეთერთმეტე დღეს აღგვიდგა. მადლობა უფალს რომ ჩვენ დავამარცხეთ კოვიდი და დავუბრუნდით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ვნერვიულობდი მხოლოდ იმაზე, ვაითუ ჩემს საყვარელ ადამიანებს გაუცნობიერებლად შეიძლება ვავნო და მათ სიცოცხლეს საფრთხე შევუქმნა.

სამწუხაროდ ეს ისეთი ვერაგი ვირუსია, რომელიც შეიძლება ისე დაგემართოს, რომ ვერც გაიგო და სხვასაც გადადო. ამიტომ უნდა ვიყოთ ფრთხილად და სხვასაც გავუფრთხილდეთ.

იმედი გვაქვს, თუ ჩვენ მკაცრად დავიცავთ დადგენილ რეგულაციებს, გავუფრთხილდებით ერთმანეთს , ყველანი ერთად დავამარცხებთ ამ უმძიმეს ვირუსს და გადავრჩებით.

მ. გერგაია

საქართველოს ფარგლებს გარეთ

ისევე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც კორონავირუსის ინფექციის მეორე ტალღამ "კოვიდ-19"-ით დაავადების სწრაფი ზრდა გამოიწვია. ბოლო პერიოდში კორონავირუსის სტატისტიკა მზარდია თურქეთში და საბერძნეთში, იქ არსებული მდგომარეობის შესახებ ჩვენი თანამემამულეები გვწერენ.

თეა ტყეებუჩავა სტამბოლიდან –ძალიან ცუდი მდგომარეობაა სტამბოლში, კატასტროფულადაა გაზრდილი დაინფიცირებულების რაოდენობა. საკმაოდ ხშირია გარდაცვალების ფაქტები. თურქეთის მთავრობამ შემოიღო მთელი რიგი აკრძალვები. მოქმედებს კომენდანტი საათი, ასაკოვან ადამიანებს ეკრძალებათ გარკვეულ საათებში გარეთ გამოსვლა, აუცილებელია პირბადის ტარება, დისტანციის დაცვა. დაწესებულია მთელი რიგი ჯარიმები, თან საკმაოდ სოლიდური. რაც შეეხება ემიგრანტებს, ვინც ოჯახში ვმუშაობთ, შედარებით დაცულები ვართ, რადგანაც ოჯახის პატრონი ზრუნავს ჩვენზე და არ გვიწევს გარეთ გასვლა და ამიტომ ცუდ პირობებში არ ვართ. ვინც ფაბრიკებში მუშაობენ, მათზე მეტ-ნაკლებად ზრუნავენ. აუცილებლობის შემთხვევაში მეპატრონეები უზრუნველყოფენ მედიკამენტებით, საჭირო პროდუქტებით.

ვსარგებლობ შემთხვევით და გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი ჩვენი ქვეყნისთვის და მთელი მსოფლიოსთვის.

თამარ დადიანი- მეუღლესთან და შვილთან ერთად ვცხოვრობ კუნძულ კვიპროსზე, კერძოდ პაფოსში. როგორც მთელ მსოფლიოში, აქაც საკმაოდ რთული ვითარებაა, რეგიონში ვირუსის შემთხვევების მატების გამო მინისტრთა საბჭომ მიიღო რეგულაციები, და დააწესა მთელი რიგი შეზღუდვები. მოქმედებს კომენდანტის საათი და ყოველგვარი გადაადგილება აკრძალულია საღამოს 8 საათიდან დილის 5 საათამდე, არ მუშაობს არცერთი სავაჭრო ცენტრი, ყველა სახის კვების ობიექტები მთლიანად გადავიდნენ გატანის სერვისზე. ეკლესიებში და მონასტრებში ღვთის მსახურება წარიმართება მრევლის გარეშე, ხოლო სკოლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულიად გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე. გარკვეული დისკომპორტი შეგვექმნა ემიგრანტებს. საქართველოს საელჩომ დაგვირიგა საჭირო პროდუქტები და წამლები, მადლობას ვუხდით მათ მხარდაჭერისათვის.

შეზღუდვები მოხსნაზე ჯერ არ საუბრობენ.

P.S. გვინდა მივულოცოთ ჩვენს თანამემამულეებს დამდეგი შობა-ახალი წელი, ვუსურვოთ ჯანმრთელობა. ვიმედოვნებთ 2021 იქნება მშვიდობის, საყოველთაო ჯანმრთელობის და ურთიერთთანხმობის წელი.

მ.ჟონია

მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებები პანდემიის პირობებში

კოვიდ 19-ს თითქმის უკვე ერთი წელია ებრძვის მსოფლიო. მეორე ტალღა მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის. მიუხედავად ჩვენი მთავრობის, ჯანდაცვის სისტემის და დაავადებათა ეროვნული კონტროლის ცენტრის კოორდინირებული მუშაობისა ქვეყანას მძიმე დღეები უდგას. განსაკუთრებით კი ეს აისახება სამედიცინო დაწესებულებებზე. ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველა სამედიცინო დაწესებულება მუშაობს საგანგებო რეჟიმში. მეტად რთული და მძიმეა მათი ყოველდღიური ყოფა. თითოეული ასეთი დაწესებულების თანამშრომელი დაწყებული ექიმიდან, დამთავრებული სანიტრის ჩათვლით არიან ბრძოლის წინა ხაზზე. ჩვენ ვესაუბრეთ ამ საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ხელმძღვანელებს, თუ რა სირთულეებისა და გამოწვევების წინაშე დგანან.

გაზეთმა „კოლხეთმა“ მათ ორი კითხვით მიმართა. კითხვებზე გვპასუხობენ და ნომრის სტუმრები არიან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **ანა ჭიჭაღუა**, სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები: **იამზე დგებუაძე, კესარია ვახანია, მურმან ბოჯგუა, ავთანდილ ლომია, გიორგი თოლორდავა.**

კითხვები:

1. 2020 წელი განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა სამედიცინო დაწესებულებებისათვის. რამდენად იყო გაზრდილი მომართვიანობა თქვენდამი დაქვემდებარებულ საავადმყოფოში, პოლიკლინიკაში, როგორ შეძლო მედპერსონალმა გაზრდილ მოთხოვნებთან გამკლავება.

2. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა ახალი წელი იმედის და რწმენის დღესასწაულია. როგორია პირადად თქვენი განწყობილება და რას უსურვებთ მოსახლეობას?

ანა ჭიჭაღუა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

1. 2020 წელი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის ურთულესი წელი იყო. ეს იყო ბრძოლა პანდემიასთან, სიკვდილ-სიცოცხლესთან, რომელსაც დღემდე ვებრძვით და ჩვენი თავდაუზოგავი მუშაობით ვცდილობთ გავუმკლავდეთ. პანდემიის დაწყების დღიდან დღემდე, სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიური მუშაობის რეჟიმშია. მიმდინარეობს პაციენტების მოკვლევა, პისიარ და ანტიგენის სწრაფი ტესტით კვლევების ჩატარება უფასოდ, როგორც სიმპტომიან პაციენტებზე, ასევე გეგმიური კვლევა სამედიცინო სფეროს თითოეულ წარმომადგენელზე, პედაგოგებზე, შ.ს.ს თანამშრომლებზე და დღითიდღე არეალი ფართოვდება. სენაკის მუნიციპალიტეტში პერიოდულად მიმდინარეობს პრევენციული ღონისძიებები, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. საამაყოა, რომ საქართველში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებიდანვე, ცენტრის თითოეული თანამშრომელი ბრძოლის პირველ ხაზზე ვდგავართ დღემდე და სიცოცხლის რისკის ფასად, მაღალი პროფესიონალიზმით, სასწაულის ტოლფას საქმეს ვაკეთებთ, საზოგადოებისა და ქვეყნის დასაცავად. მაშინ, როდესაც სვანეთი საქართველოში ერთ-ერთ ცხელ წერტილს წარმოადგენდა, სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდა. რამდენიმე დღე, დილიდან საღამომდე ნამდვილად შეუსვენებლივ ვშრომობდით. პანდემიის მძვინვარების ურთულეს დროში, ჩვენი ყოველდღიური რეჟიმის, თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო ის, რომ სენაკი დიდი ხნის მანძილზე მწვანე ქალაქის სტატუსს ინარჩუნებდა.

მინდა ავღნიშნო, ყველა იმ ადამიანის თავდადება და უდიდესი მადლობა გამოვთქვა თითოეული მედპერსონალის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებისა და ყველა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც პანდემიის მძვინვარების პერიოდში მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინეს და მათი თავდაუზოგავი შრომით, სიცოცხლის რისკის ფასად, დღემდე დგანან ადამიანების სიცოცხლის სადარაჯოზე. ასევე მინდა, დიდი მადლობა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც მხარში გვიდგას, სტიმულს გავძლევს, ცდილობს ყოველდღიურ რეჟიმში, ღამის 3 საათზეც კი მიიღოს ჩვენგან ინფორმაცია, გაიზიაროს საერთო გულისტკივილი. მთელი კოლექტივის სახელით, მადლობას ვუხდი სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ლევან კუპრეიშვილს, საქართველოს პარლამენტის წევრს ირაკლი ბერაიას და ახლადარჩეულ ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ირაკლი ხახუბიას იმ თანადგომისა და ყურადღებისათვის, რაც გამოხატეს ჩვენს მიმართ პანდემიის პერიოდში.

ასეთი ადამიანების თანადგომით, ერთიანი მაქსიმალური ძალისხმევით შევძელით და მომავალშიც ვეცდებით შევძლოთ ჩვენს წინაშე მდგარ ურთულეს გამოწვევებთან გამკლავება. სამედიცინო სფეროს წრმომადგენლები მართლაც ყოველგვარი პრეტენზიისა და ხმაურის გარეშე ვდგავართ და მომავალშიც გავაგრძელებთ ქვეყნის სადარაჯოზე დგომას საზოგადოებისა და ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად. ჩვენი მიზანია პანდემიის მალე დასრულება. პანდემია აუცილებლად დასრულდება, მაგრამ როდის და როგორ, ეს თითოეულ მოქალაქეზეა დამოკიდებული. ყველამ უნდა გაითავისოს, გაითვალისწინოს და განახორციელოს ყველა ის რეკომენდაცია, რაც გაცემულია და შედეგიც სახეზე იქნება.

2. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა მოდის ახალი წელი. მინდა ეს წელი იყოს თითოეული ადამიანისათვის იმედის, რწმენის დღესასწაული, ყოველი ქართული ოჯახისათვის, ჯანმრთელობის, სიხარულისა და ულევი ბედნიერების მომტანი.

იამზე დგებუაძე – შპს. ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორი

1. დამეთანხმებით პანდემიამ შეცვალა ჩვენი რეალობა. ურთულესი პერიოდია თითოეული ადამიანისათვის, განსაკუთრებით მძიმე დღეები უდგას ჯანდაცვის სფეროს. ამ მხრივ არც ჩვენი საავადმყოფოა გამონაკლისი. ვინაიდან ჩვენ ვემსახურებით არა კოვიდინფიცირებულ პაციენტებს(თუმცა შეხება რა თქმა უნდა გვაქვს კოვიდინფიცირებულებთანაც, რადგან უკვე მასიურად ვაკეთებთ პისიარ და ანტიგენზე ტესტირებებს) მომართვიანობამ შემიძლია ვთქვა, რომ შარშანდელთან შედარებით იკლო. ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ ადამიანები ატარებენ პირბადეს, ამოქმედებულია ეგრეთწოდებული წერტილოვანი შეზღუდვები. შარშან ამ დროს ძალიან ბევრი იყო სეზონური გრიპის შემთხვევა. რა თქმაუნდა წელსაც არის, მაგრამ პროცენტული მაჩვენებელი შედარებით დაბალია.

რაც შეეხება კოვიდ ინფექციას, თავდაპირველად ჩვენი საავადმყოფო პანდემიას შეხვდა შეძლებისდაგვარად მომზადებული. შემდგომ ეტაპზე კი რათქმა უნდა ვეცადეთ მაქსიმალურად მოვმზადებულიყავით. ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რათა დავიცვათ ყველა ის რეკომენდაცია, რასაც იძლევა ჯანდაცვის სამინისტრო და დაავადებათა ეროვნული კონტროლის ცენტრი. ყოველ თორმეტ დღეში ერთხელ გეგმიურად მედ. პერსონალს უკეთდება პისიარ ტესტირება. საავადმყოფოში მაქსიმალურად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სისტემატიურად მუშავდება იატაკები სპეციალური ხსნარებით და კონტროლდება ყველა ის ადამიანი, რომელიც გადაადგილდება საავადმყოფოში.

რაც შეეხება ჩვენს პატარა პაციენტებს, კეთდება როგორც პისიარ, ასევე ანტიგენით ტესტირებები. რამდენიმე კვირის წინ მიღებული ახალი დადგენილებით უკვე თითქმის ყველას განურჩევლად ჩივილებისა უკეთდებათ ტესტირებები. 21 დეკემბრის მდგომარეობით 0-15 წლამდე სულ გაკეთებულია 900-მდე პისიარ ტესტი და 231 ანტიგენზე ტესტი, აქედან დადებითია 178. კოვიდ ინფექციის დადასტურების შემთხვევაში პაციენტის მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში ვაყენებთ უბნის ექიმებს და ისინი დანიშნულებებს აძლევენ მათ დიტანციურად.

მე, როგორც ბავშვთა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ და აგრძელებენ მუშაობას დღესაც. პანდემიის შედეგად დაინფიცირდა ჩვენი რამდენიმე თანამშრომელი. გვყავდა ისეთებიც, ვინც ძალზედ მძიმედ გადაიტანა, მაგრამ საბედნიეროდ დღესდღეობით ყველა კარგად არის და ნელ-ნელა უბრუნდებიან საქმიანობას.

მხოლოდ და მხოლოდ კარგი და დადებითი შემიძლია ვთქვა მათ შესახებ. ისინი თავდაუზოგავად და პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას. სათითაოდ და ყველას ერთად მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისთვის. არ იქნება მართებული, ვინმე გამოვყო, მაგრამ ამავდროულად ისიც მინდა ვთქვა, რომ იყო პერიოდი, როდესაც ერთ კონკრეტულ ექიმსა თუ მედდას გადაბმულად უწევდა რამდენიმე დღე მორიგეობა. დამეთანხმებით აღბათ, რომ ეს ძალიან რთულია.

2. ახალი წელი საოცარი შეგრძნებაა, აქვეა ჩვენი მაცხოვრის შობა -- უდიდესი დღესასაწაული. ჩემი აზრით, ახალი წელი არის დღესასწაული, როდესაც ყველა ერთი ასაკის ხდება. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარებისა, დარწმუნებული ვარ ამ დღესასწაულის მოსვლა ყველას უხარია. ყველა სამზადისშია. სწორედ ეს არის მისი ხიბლი. მინდა, რომ ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდეს სიმშვიდისა და უსაფრთხოების შეგრძნება. ეს აუცილებელია, რომ ადამიანებმა შეძლონ ნორმალური ცხოვრება. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და სიკეთეს. ახალი შესაძლებლობების და დასახული მიზნების ასრულებას.

ჩვენს საყვარელ ქალაქს სენაკს კი წარმატებით და ბედნიერებით სავსე წელს!

მურმან ბოჯგუა – აბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი

1. როგორც ყველასათვის ცნობილია, პანდემია მძვინვარებს მთელს მსოფლიოში, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანა იყო.

პირველივე დღიდან, როდესაც დაიწყო ეს ავბედითი პერიოდი ჩვენმა ჯანდაცვის სისტემამ, მოახერხა რომ მაქსიმალურად მცირედ გავრცელებულიყო ინფექცია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის, როგორც ჯანდაცვის სამსახურს, ასევე საქართველოს მთავრობას. მათი კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობის შედეგია სწორედ ის, რომ პირველ ტალღას ქვეყანა შეხვდა მინიმალური ინფიცირების შედეგით.

პირველი ტალღის დროს რათქმაუნდა ჩვენი სამედიცინო დაწესებულება არ იყო მზად სათანადო აღჭურვილობით, მაგრამ უსწრაფესად მოხდა რეაგირება ჯანდაცვის სისტემიდან და პოლიკლინიკა აღიჭურვა შესაბამისი ნივთებით. ეს იქნება სადეზინფექციო საშუალებები, ნიღბები, თუ სპეციალური ეკიპირება. ყველანაირად მოვამზადეთ დაწესებულება იმისათვის, რომ ჩავრთულიყავით „უხილავ მტერთან“ ბრძოლაში და დავხმარებოდით ჩვენს მოსახლეობას. პირველ ეტაპს გავუმკლავდით ძალიან კარგად. ისე რომ დაწესებულებაში არ გვყოლია არც ერთი კოვიდ ინფიცირებული. რაც შეეხება მეორე ტალღას გარკვეულ წილად რთული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ინვენტარის დამუშავება ხდებოდა ყოველდღიურად, მაინც დაგვიინფიცირდა რამდენიმე თანამშომელი.

რაც შეეხება მედპერსონალის მუშაობას. გვყავს შვიდი დატრენინგებული ოჯახის ექიმი, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში უწევენ ჩვენს მოსახლეობას დახმარებას.

შემიძლია თამამად და ამაყად ვთქვა, რომ არც ერთი დღე არ გაუცდენია ჩემს თანამშრომლებს. ისინი ყოველდღიურად უწევენ დახმარებას ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს, რა თქმა ყოველგვარი რეკომენდაციების დაცვით.

რაც შეეხება სიახლეს, ნოემბერში ჩვენი მთავრობის დადგენილებით დაიწყო გრიპის საყოველთაო ვაქცინაცია იმ კონტიგენტზე, რომელიც იყო მითითებულ ბრძანებით. ეს ვაქცინაცია მიმდინარეობს დღესაც და თითქმის უკვე ვასრულებთ. დეკემბრის დასაწყისიდან დაიწყო სწრაფი ტესტების გაკეთება. დაახლოებით 50-60% ყოველდღიური მომართვიანობა. დადებითი ჭარბობს უარყოფითს, მაგრამ დღესდღეობით უკვე ამ პროცენტმაც იკლო.

სიამაყით მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ ვხედავთ რა რთული მდგომარეობაა მსოფლიოში, ჩვენმა ჯანდაცვამ გაუძლო ამ რთულ გამოწვევას. პირველ რიგში ეს არის ჩვენი მთავრობისა და ჩვენი ექიმების დიდი მუშაობის შედეგი. მე პირადად ყოველდღიურ მადლობას ვუხდი ამ ხალხს. უსამართლობა იქნება იმის არ აღნიშვნა, რომ ჩვენს ჯანდაცვას არ ქონია პარალიზება. მართალია ცოტა შეფერხებით, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვახერხებთ თითოეული ინფიცირებულის, თუ ჩვეულებრივი ავადმყოფების მომსახურებას.

მინდა სრულიად საქართველოს მოსახლეობას მივმართო: გაითავისონ საფრთხე, რომლის წინაშეც ვდგევართ. იმისათვის, რომ დავიცვათ საკუთრი თავი და ჩვენს ირგვლივ მყოფები. აუცილებელია მითითებული რეკომენდაციების დაცვა, რადგან მხოლოდ მთავრობისა და ჯანდაცვის მუშაობა ვერაფერს იზამს.

2. პირველ რიგში ჩვენს ხალხს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ ახალ წელს. ეს მძიმე პერიოდი დაგვეძლიოს ღირსეულად და მინიმალური მსხვერპლის გარეშე გავსულიყავით ფონს.

ავთანდილ ლომია – შპ.ს. სენაკის საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი.

1. პანდემიის მიუხედავად ჩვენი საავადმყოფო მუშაობას აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში. მოგეხსენებათ ჩვენ ვემსახურებით არაკოვიდინფიცირებულ პაციენტებს. ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც სამედიცინო დაწესებულებების უმეტესი ნაწილი დახმარებას უწევს კოვიდ პაციენტებს, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს ჩვეულებრივი პაციენტები, რომლებსაც სამედიცინო და სტაციონარული დახმარება სჭირდებათ. ამიტომ საავადმყოფო არის სრულ მზადყოფნაში მიიღოს ასეთი ავადმყოფები. კლინიკაში კედთება ყველა საჭირო ლაბორატორიული კვლევა. ვაკეთებთ ქირურგიულ ოპერაციებს. ასე რომ ჩვენს მოსახლეობას ვაწვდით სამედიცინო მომსახურების სრულ სერვისს.

რაც შეეხება კოვიდ ინფექციას. ახალი დადგენილებით უკვე ვაკეთებთ კოვიდ ტესტირებას ყველა სახის ავადმყოფებზე. მომართვიანობა რა თქმა უნდა დიდია. ჩვენი ლაბორატორია მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში. ლაბორატორიის გამგე ყველასათვის საყვარელი ქალბატონი მანანა გეგენავა ჩვენს პაციენტებს ემსახურება თავდაუზოგავად და აწვდის მათ სრულყოფილ და ამომწურავ დახმარებას.

მახარებს ის ფაქტი, რომ მაქვს შესაძლებლობა ჩემს თითოეულ თანამშრომელს საჯაროდ გადავუხადო მადლობა გაწეული საქმიანობისთვის.

2. დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ყველას, განსაკუთრებით ჩემს სამშობლოს, ჩემს თანაქალაქელებს და ჩემს კოლექტივს!

უფლის წყალობა, სიხარული, ჯანის სიმრთელე, სიყვარული და ბედნიერების ულევი წუთები არ მოაკლოს სრულიად საქართველოს

უფალმა.

(გაგრძელება მე-8 გვ)

მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებები პანდემიის პირობებში

(გაგრძელება)

კესარია ვახანია - შ.პ.ს. სამშობიარო სახლის დირექტორი



1. როგორც ყველასთვის ცნობილია, შპ.ს. სენაკის სამშობიარო სახლის სტაციონარული განყოფილება დროებით დახურულია გარკვეული მიზეზების გამო. ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ ქალთა კონსულტაცია, სადაც ვემსახურებით ორსულებს, გინეკოლოგიურ პაციენტებს, სოციალურად დაუცველ ფენას.

თითოეული პაციენტისათვის გვაქვს შექმნილი უსაფრთხო გარემო. ვიცავთ ყველა იმ რეკომენდაციას, რასაც მოგვიწოდებს მთავრობა და ჯანდაცვის სექტორი. მიმდინარეობს თერმოსკრინინგი, დაცული გვაქვს სანიტარულ-ჰიგიენური წესები, რასაც ჰქვია ყოველდღიურ რეჟიმში იატაკებისა და ინვენტარის დამუშავება. ისევე როგორც ყველა სამედიცინო დაწესებულება, ჩვენც მთელი კოლექტივი ვუშაობთ თავდაუზოგავად.

ამ მძიმე და ყველასთვის რთულ პერიოდში ვაკეთებთ შესაძლებლობების მაქსიმუმს და ჩვენს პაციენტებს ვაძლევთ სრულყოფილ და ამომწურავ დახმარებას. მე როგორც ამ დაწესებულების ხელმძღვანელი, თითოეულ ჩემს თანამშრომელს გულწრფელ მადლობას ვუხდი იმ გულითადი მუშაობისათვის, რასაც ისინი უწევენ ჩვენს მოსახლეობას.

2. საახალწლო განწყობა გვაქვს პოზიტიური და იმედიანი, რომელსაც გვიმყარებს ჩვენი ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ნაკლებად ეზეიმება და პანდემიის გამო რთული დღეები გაიარეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას და სულიერ სიმშვიდეს. ვისურვებდი რომ ახალმა წელმა ჩვენს ქვეყანას მშვიდობა, თანხმობა, შემწყნარებლობა და ურთიერთპატივისცემა მოუტანოს.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

კოვიდ-19 სტატისტიკა სენაკის მუნიციპალიტეტში

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით სენაკის მუნიციპალიტეტში 22 დეკემბრის მდგომარეობით ინფიცირებულია 2028, აქედან აქტიურად მიმდინარე შემთხვევაა 590, გამოჯანმრთელებულია 1411, თვითიზოლაციაშია 363, გარდაიცვალა 27.

ძვირფასო სენაკელებო! იყავით ფრთხილად, დაიცავით რეგულაციები, დაემორჩილეთ მთავრობის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს.

ვიბრძვით თითოეული ჩვენი პაციენტის ჯანმრთელობისათვის

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, საჭირო გახდა კოვიდ-ინფიცირებული პაციენტების მისაღებად გაზრდილიყო საწოლ-ფონდის რაოდენობა.

თანამედროვე, უახლესი სამედიცინო დანადგარებით აღჭურვილი კლინიკა „სენა-მედი" ,როგორც მაღალი პასუხისმგებლობის კომპანია, არსებული შესაძლებლობების სრული მობილიზაციით ჩაერთო COVID–19-ზე რეაგირების პროცესში. ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ კლინიკის დირექტორს, ბატონ გიორგი თოლორდავას.

ბატონო გიორგი, ცნობილია, რომ „სენა-მედი" არის კოვიდ-19-ით დაავადებულთა მიმღები კლინიკა, რამდენი საწოლია გამოყოფილი ინფიცირებულთათვის, როგორ ახერხებს მედპერსონალი გაუმკლავდეს ამ ურთულეს გამოწვევას (ძირითადად ვინ მკურნალობს თქვენთან, მხოლოდ ადგილობრივები თუ სხვა მუნიციპალიტეტიდან გადმოყვანილი ავადმყოფები) არის თუ არა აღჭურვილი კლინიკა სასუნთქი აპარატებით, მედიკამენტებით. რამდენად მძიმე ავადმყოფები გყავთ, ფიქსირდება თუ არა ლეტალური შედეგები, რა სახის ტესტები კეთდება, როგორია მომართვიანობა და ა.შ.

როგორც კი საჭიროებამ მოითხოვა სენამედი, გარდა სამშობიარო დეპარტამენტისა გადაკეთდა კოვიდ ავადმყოფთა სამკურნალო კლინიკად. კლინიკა გათვლილია 40 პაცინტზეა გათვლილი. (6 რეანიმაციის ლოგინი, 6 ინტენსიური თერაპიის, 1 ბავშვთა და 27 თერაპიის) და ძირითადად იმ პაციენტებს ემსახურება, ვისაც ვირუსის გართულებული ფორმა აქვს და ჰოსპიტალიზაციას საჭიროებს.

კლინიკა აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით, რაც საჭ როა კოვიდინფიცირებულების სამკურნალოდ.

პაციენტებს უტარდებათ რენტგენოლოგიური გამოკვლევები, კომპიუტერული ტომოგრაფია, ყველა სახის საჭირო ანალიზები... და შემდეგ შესაბამისი მკურნალობა.

ამ პერიოდისათვის გვყავს როგორც მძიმე, ასევე შედარებით მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტები. სამწუხაროა ის ფაქტი, ბევრ შემთხვევაში მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო და პაციენტები გარდაიცვალნენ.

ჩვენთან მკურნალობენ როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა მუნიციპალიტეტიდან გადმოყვანილი პაციენტები.

ავადმყოფთა ჯანმრთელობაზე ზრუნავენ 12 კვალიფიციური ექიმი კლინიცისტი, გამოცდილი მედდები. ლაბორანტები.

ყველას აქვს შესაძლებლობა ჩაიტაროს სწრაფი ტესტი, მიიღოს პასუხი 15-20 წუთში და PCR-ტესტი. მომართვიანობა საკმაოდ მაღალია. მათ საყურადღებოდ, ვისაც დაუდასტურდა კოვიდი, დროულად მიმართონ კლინიკას ან ოჯახის ექიმს, მიიღონ კვალიფიციური მომსახურება, რათა თავიდან აიცილონ მოსალოდნელი გართულებები.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა, ახალი წელი იმედის და რწმენის დღესასწაულია, როგორია პირადად თქვენი საახალწლო განწყობილება და რას უსურვებთ მოსახლეობას.

გვაქვს მებრძოლი განწყობა, ჩვენ არ გვაქვს ერთი წუთითაც მოდუნების უფლება, ჩვენ ვიბრძვით თითოეული ჩვენი პაციენტის, არა აქვს მნიშვნელობა, მსუბუქია მისი მდგომარეობა თუ რთული, ჯანმრთელობისათვის. ჩვენს ქვეყანას ხომ ჯანმრთელი ადამიანები სჭირდება. ამასთან ახალ წელს რწმენით და იმედით ვხვდებით. მინდა ახალმა წელმა სიმშვიდე, სინათლე და ყველაზე ძვირფასი განძი-ჯანმრთელობა დაუბედოს ქართულ ოჯახებს.

ყველას, ჩვენი კლინიკის მედპერსონალს, პაციენტებს, სენაკის მოსახლეობას ვულოცავ დამდეგ 2021 წელს, სიკეთე, სიყვარული და მშვიდობა არ მოჰკლებოდეს საქართველოს.

მ. ჭუბაბრია

რევაზ გაგულაშვილი

მტკივნეული და დასანანია რევაზ გაგულაშვილის ნაადრევად წასვლა ამ ქვეყნიდან.

იგი სახელოვნად აგრძელებდა ერუდირებული მამის, ბატონ მორდეხ გაგულაშვილის მიერ საძირკველჩაყრილ ტრადიციებს. ბატონი მორდეხი გაზეთ "„კოლხეთის" " ჟურნალისტთა წინა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მოღვაწე პიროვნება ქვეყნისადმი "მსახურების" თვალსაჩინო მაგალითს აძლევდა თაობებს.

ბატონ მორდეხის შვილები იზაბელა და რევაზი სენაკში გამოირჩეოდნენ განათლებით, კულტურით, ორი ერის საგვარეულო ტრადიციების პატივისცემით.

რევაზ გაგულაშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა №N5 ტრესტში ინჟინრად, სენაკის ყოფილი კომკავშირის რაიკომის მდივნად, იყო საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, მიგრაციის და უცხოეთში მყოფ თანამემამულეთა კომიტეტის წევრი. შემდეგ წლებში ხელმძღვანელობდა ძლიერ სამშენებლო კოსპორაციის თბილისში.

რევაზ გაგულაშვილი იყო მზრუნველი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა.

გვინდა მივუსამძიმროთ რევაზ გაგულაშვილის ოჯახს, შვილებს, ამჟამად ისრაელში მცხოვრებ მის დას, ახლობლებს.

ნათელში იყოს მისი სული.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

თამაზ ქვარცხავა

თამაზ ქვარცხავა გამოირჩეოდა გულისხმიერებით, სიკეთით, პროფესიონალიზმით.

ეკონომიკური დარგის საუკეთესო სპეციალისტი, სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის დროს ავლენდა პასუხისმგებლობას და საქმისადმი ერთგულებას.

მამისგან მამანტი ქვარცხავასაგან შეისისხლხორცა ჰუმანურობა და ადამიანების სიყვარული.

მეუღლესთან, ქალბატონ დალისთან ერთად შვილები აღზარდა კარგ მოქალაქეებად და სპეციალისტებად.

დასანანია, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ვერ გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე, ვუსამძიმრებთ ოჯახს და უფალს შევთხოვთ ნათელში დაამკვიდროს მისი სული.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

იზარდი წოწონავა და მისი ოჯახი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ქალბატონ დალის, ბატონ რამაზსა და ქალბატონ ნაილის მეუღლის, მამის და ძმის

თამაზ ქვარცხავას

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთუარია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499